სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია
Proceedings of Sokhumi State University
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ნატო ქობულაძე[1]
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.39

სწავლის უნივერსალური დიზაინი საუნივერსიტეტო გამოწვევები[2]

აბსტრაქტი. თანამედროვე გლობალურმა სამყარომ შეცვლილმა ბუნებრივმა და ეკოლოგიურმა პირობმა დააჩქარა ცვლილებები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საგანმანათლებლო სისტემაში. საჭირო გახდა ახალი პედაგოგიური მიდგომებისა და ინოვაციების ძიება, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს იმ გამოწვევების დაძლევას, რომელსაც თანამედროვეობა გვთავაზობს.

წინამდებარე ნაშრომში დაკვირვებისა და დოკუმენტური კვლევის მეთოდების საფუძველზე შესწავლილია სწავლების უნივერსალური დიზაინის საუნივერსიტეტო გამოწვევები აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. კვლევის დროს განხორციელდა პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, შესაბამისად უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრმა დაგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის ტრენინგ-კურსები და სემინარები პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ჩვენი კვლევის პროცესში გაანალიზებული იქნა სატრენინგო დოკუმენტაცია, მათ შორის რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, სატრენინგო მასალები, აპლიკანტთა უკუკავშირი და გამოხმაურებები.კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მოცემული გამოწვევების დაძლევა შეგვიძლია სწავლების უნი-

---

[1] **ნატო ქობულაძე,** პედაგოგიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

[2] მოხსენება წაკითხულია **ექვთიმე თაყაიშვილის** 160 წლისთავისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, კულტურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი განათლება“.* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. 2023 წლის 22-23 დეკემბერი.

ვერსალური დიზაინის პრინციპების და ტექნოლოგიებს სააუდიტორიო სწავლების დანერგვის, ადაპტირებული ტექნიკური საშუალებებისა და საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების, ცნობიერების ამაღლების, სტუდენტთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრებისა და მუდმივი სიახლეებისა და ინოვაციების ძიების, საუნივერსიტეტო სწავლების ხელმისაწვდომობის გაფართოების გზით.

საკვანძო სიტყვები: სწავლის უნივერსალური დიზაინი, საუნივერსიტეტო გამოწვევები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქეისი.

Nato Kobuladze[3]
Akaki Tsereteli State University

Universal Design for Learning University Challenges

Abstract. The modern global world, the changed natural and ecological conditions, have accelerated changes in various spheres of life, including the educational system. It has become necessary to search for new pedagogical approaches and innovations, to create diverse educational technologies that ensure overcoming the challenges that modernity offers us.

In this paper, based on observation and documentary research methods, the university challenges of universal design of teaching at the Akaki Tsereteli State University are studied. During the research, the causes of the problem were identified, and accordingly, the University's Continuing Education Center planned a number of events, including training courses and seminars to eliminate the problem.

Our research process analyzed training documentation, including quantitative and qualitative data, training materials, applicant feedback and responses. The results of the study showed that we can overcome these challenges by implementing universal design principles and technologies in classroom teaching, using adaptive technical means and educational resources, raising awareness, establishing centers for psychological support for students, and constantly searching for innovations and innovations, expanding access to university education.

Keywords: Universal Design of Learning, University Challenges, Akaki Tsereteli State University Case.

შესავალი. თანამედროვე მიდგომა, რომელიც სწავლის უნივერსალურ პრინციპებს ეფუძნება, ყველა მოსწავლისა თუ სტუდენტისათვის უნდა ქმნიდეს სწავლის თანაბარ შესაძლებლობას, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა თუ საჭიროებებისა (რას ნიშნავს სწავლის უნივერსალური

[3] **Nato Kobuladze**. Doctor of Pedagogy, Associate Professor at Akaki Tsereteli State University.

დიზაინი 2022). სწავლა/სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგ კომპონენტებს:

- ✓ საჭირობის შემთხვევაში, როგორ და რა გზებით ხდება სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა, ინფორმაციის მიწოდება. აქცენტი უნდა გაკეთდეს ინფორმაციისა და შინაარსის წარდგენის მრავალფეროვან გზებზე, რათა ინფორმაციის აღქმა, გაგება და გადამუშავება ეფექტურად მოხდეს.
- ✓ როგორ და რა გზებით ხდება სტუდენტის მხრიდან ცოდნის დემონსტრირება. რამდენად კეთდება აქცენტი ცოდნის გადაცემის, გამოხატვისა და აქტივობის შესრულების მრავალფეროვან გზებზე.
- ✓ მნიშვნელოვანია როგორ ხერხდება მოტივაციის (ჩართვის) მრავალფეროვანი გზის გამოყენება-მორგება კონკრეტულ ინდივიდთან (შულაია 2022; ნიკოლეიშვილი 2022).

დისკუსია. ბოლო პერიოდში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართული იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო კვლევით პროგრამებში, სადაც მთავარი მიზანი იყო, დაედგინათ რამდენად ხოციელდებოდა უნივერსიტეტში უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვით სწავლა-სწავლების პროცესი და როგორი იყო აკადემიური პერსონალისა თუ ხელმძღვანელობის მზაობა/ცნობიერება აღნიშნულთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრმა დაგეგმა და უსასყიდლოდ განახორციელა სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე ტრნინგ-კურსი სხვადასხვა ფაკულტეტების აკადემიურ პრსონალთან. სატრენინგო კურსში მონაწილეობდა სხვადასხვა მიმართულების 27 აკადემიური პერსონალი. ტრენინგის უკუკავშირის გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 21-მა მონაწილემ. 21-ვე მონაწილე თვლის, რომ სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი შედეგის მომტანია ყველა სტუდენტისათვის, მიუხედავად მათი ინდივიდუალური მახასიათებლებისა, ამაღლებს სტუდენტების მოტივაციას და უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას.



უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის შესაბამისობაზე უნივერსალურ დიზაინთან, რესპონდენტთა პასუხები მრავალგვარია. უმრავლესობა ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო კორპუსების ადაპტირება, მიმნიშნებლების არსებობა და მორგება სხვადასხვა საჭიროებების სტუდენტებზე, ადაპტირებული ვებ-გვერდი და რესურსები, მხარდამჭერი სპეციალისტები, საინფორმაციო ბროშურები და სხვ.



რესპოდენტების 48% აღნიშნავს, რომ სტუდენტმა რომ უკეთ გაიგოს და გაიაზროს მიწოდებული ინფორმაცია, მნიშვნელოვანია აღნიშნული ინფორმაცია მიწოდებული იყოს: ვერბალური, ვიზუალური, აუდიალური გზებით და ტექნოლოგიების დახმარებით.



ტრენიგის გავლის შედეგად, რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ თავიანთი სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად უფრო მეტად გამოიყენებდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ვიზუალურ მასალებს: სქემებს,

დიაგრამებს. ნაწილი რესპონდენტებისა აფიქსირებს, რომ გამოიყენებს აუ-დიო-ვიდეო რესურსებს, ტიტრებით, შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენ-ტებისათვის.



საინტერესო აღმოჩნდა რესპონდენტთა პასუხები რა სახის ცვლილებებს შეიტანდნენ სტუდენტთა გამოკითხვისას და საგამოცდო პროცესში. უმრავ-ლესობამ დაადასტურა, რომ სტუდენტთა საჭიროებიდან გამომდინარე გაზ-რდიდნენ გამოკითხვის დროს, წერით გამოცდას ჩაანაცვლებდნენ ზეპირი გამოკითხვით ან პირიქით, ასევე ასახელებენ საგამოცდო ნაბეჭდი მასალის ფონტის გაზრდის შესაძლებლობას სტუდენტთა საჭიროებებიდან გამომდი-ნარე.



თვლიდნენ თუ არა რესპონდენტები საჭიროდ ცნობიერების ამაღლებას სწავლის უნივერსალური დიზაინის შესახებ და რა სახით იყო შესაძლებელი აღნიშნული განხორციელება, შემდეგი პასუხები მივიღეთ: უმრავლესობა რე-სპონდენტებისა თვლის, რომ მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრების ჩატა-რება, ტრენინგების დაგეგმვა, დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობა, საი-ნფორმაციო ბუკლეტების მომზადება. რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა უნივერსიტეტს შეემუშავებინა გზამკვლევი სწავლების მეთოდოლოგიაზე სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

რა სახის აქტივობების დაგეგმვა იქნებოდა ეფექტიანი სწ.უნივესალური დიზაინის ცნობიერების ამაღ ლების მიზნით (0 point)



გამოკითხვიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონაწილეთა ნაწილი იყენებს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს და ტექნოლოგიებს სააუდიტორიო სწავლებისას, თუმცა არ იყო გათვალისწინებული სტუდენტთა სხვადასხვა საჭიროებები, მათ შორის არჩევანის (დავალებები, ლიტერატურა/წყარო წარდგენის ფორმატი) შესაძლებლობა.

განხორციელებული გამოკითხვიდან გამოვლინდა შემდეგი მიგნებები: უნივერსიტეტის ძირითადი შენობები ადაპტირებულია; რამდენიმე კორპუსს აკავშირებს ლიფტი; ძირითად კორპუსში არის ე. წ. ასაკეცი პანდუსი ეტლით მეორე სართულზე გადასაადგილებლად; უნივერსიტეტის ეზოში დგას კორპუსების მიმნიშნებლები (ისრები); ადაპტირებულია საუნივერსიტეტო ვებგვერდი; უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების ცენტრში ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური სამსახური;

დასკვნა. უკუკავშირის დოკუმენტაციის შესწავლისას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიმართებით გამოვლინდა ისეთი პრობლემები და საჭიროებები, რომელთა იდენტიფიცირება ხელს შეუწყობს სწავლების უნივერსალური დიზაინის მიმართულებით უნივერსიტეტში არსებული გამოწვევების დაძლევას. აღნიშნული მასალის დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე შემუშავდა სპეციალური რეკომენდაციები ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის:

- ✓ უნივერსიტეტის ფიზიკური გარემოს (ყველა კორპუსისა და სივრცის) ადაპტირება, კორპუსების კონკრეტული მიმნიშნებლებით უზრუნველყოფა სხვადასხვა საჭიროებების მქონე პირებისათვის, სველი წერტილების ადაპტაცია და სტანდარტების შესაბამისად მოწყობა;
- ✓ მნიშვნელოვანია სასწავლო რესურსებისა და სხვა საბიბლიოთეკო სერვისების მთლიანად მორგება შშმ/სსსმ სტუდენტთა საჭიროებებზე;

- ✓ არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე სასწავლო კურსების ფარგლებში მომზადდეს აუდიო/ვიდეო რესურსები და სასწავლო აუდიტორიებსა თუ ლაბორატორიებში გამოყენებული იქნას ადაპტირებული ტექნიკური საშუალებები და საგანმანათლებლო რესურსები;
- ✓ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, საგამოცდო ცენტრებში ამაღლდეს თანამშრომელთა ცნობიერება, შემუშავდეს შშმ/სსსსმ პირებისათვის შესაბამისი აკომოდაციები, გამოიყოს შესაბამისი ადაპტირებული საგამოცდო ფართი;
- ✓ სტუდენტთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის სპეციალისტებმა შეძლონ ეფექტური კონსულტაციების განხორციელება, როდესაც დაცული იქნება კონფიდენციალურობა, სპეციალისტი ითანამშრომლებს შშმ/სსსმ სტუდენტთან და აკადემიურ პერსონალთან შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

შულაია (2022) ზაზა შუალაია. სწავლების უნივერსალური დიზაინის სამი პრინციპი, „ახალი განათლება“, 22 დეკემბერი, 2022, https://akhaliganatleba.ge/%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1-%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-2/

ნიკოლეიშვილი (2022) ნინო ნიკოლეიშვილი, ბაია კუბლაშვილი. უნივერსალური სასწავლო დიზაინის პრინციპები სწავლა სწავლების პროცესში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. https://educationhouse.ge/open_news/923

რას ნიშნავს სწავლის უნივერსალური დიზაინი (2022) რას ნიშნავს სწავლის უნივერსალური დიზაინი? – განმარტება და მისი უპირატესობა, საგანმანათლებლო პორტალი „ეტალონი განათლება“, 18/07/2022. https://www.etaloni.ge/geo/main/index/74367